ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682219643**
თარიღი: **15/07/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარე წლის მაის-ივნისის თვეში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეცნობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 03/05 N ბ68.682 212 3001, 13/05 N ბ68.682 213 310 და 14/06 N ბ68.682 221 656 გამოცემული ბრძანებების შესახებ , რომლის მიხედვითაც ჯამში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 2 207 439 ლარი, აქედან:

1.1. 1 425 927 ლარი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაბა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქციისათვის;

1.2. 250 000 ლარი ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სოფელ ლეღვანში კოდა-ბოლოს უბანში სტიქიით დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციოდ.

1.3. 50 000 ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაემატა ნადაბურის გზის სარეაბილიტაციოდ ახალ პროექტს.

1.4. 481 512 ლარი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, მ. შ. სოფელ ჩრდილში ტალახაძეების საუბნო გზის რეაბილიტაციისათვის 300 000 ლარი და სოფელ ჩრდილში გოგნაძეების საუბნო გზის რეაბილიტაციისათვის 181 512 ლარი.

2. მიმდინარე წლის 13/07 ასევ გამოიცა მერის ბრძანება N :ბ68.68221945, რომლის მიხედვითაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქ . მთავრობის 2022 წლის N 51 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოეყო 109 425.57 ლარი (ხუნევის , ხევის და გედსამანიის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია) დან.N 1 .

3. 15/07 დაჩქარებული წესით კვლავ გამოიცა მერის ახალი ბრძანება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის N 1234 განკარგულებით (დან. N2; 3) ცვლილება

შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებაში და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 114 628 ლარი, კერძოდ კვლავ დაემატა ერთი ახალი პროექტი - სოფელ ვახანში, ოთარ არევაძის საუბნო გზის

რეაბილიტაცია

4. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპ-ებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მომართვების თანახმად ახალი ვალდებულებების ასაღებად დამატებით საჭიროა 113 700 ლარი, რომლის დაფინანსების წყაროდ გამოყენებული უნდა იქნას 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი. კერძოდ:

4.1. ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 2022 წლის 15/07 N 49 მომართვის თანახმად, დამატებით ესაჭიროება 27 000 ლარი, აქედან 7 000 ლარი წლის განმავლობაში სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სატრანსპორტო მომსახურებისათვის, 12 000 ლარი საჭიროა თურქეთის რესპუბლიკაში მიწვეული სახალხო თეატრის ხარჯებისათვის; 5 000 ლარი მოადგილის ახალი შტატის შრომის ანაზღაურების შესავსებად და 3 000 ლარი ახალი პროექტების მოსამზადებლად, რომლის შევსება (გადმოტანა) განხორციელდეს კულტურული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯებიდან. დან. N 4.

4.2. ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების 2022 წლის 15/07 N 15-682219610 წერილის თანახმად ესაჭიროება 20 000 ლარი მუნიციპალიტეტის სოფლებში ცენტრალურ გზებზე ჩამოშლილი მიწის მასის გაწმენდის სამუშაოების შესასრულებლად. დან. N 5.

4.3. ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრის 2022 წლის 15.07. N 49 მომართვით დამატებით ესაჭიროება - 12 000 ლარი. მ.შ. 3 000 ლარი სატრანსპორტო ხარჯების გასაწევად და 9 000 ლარი საზაფხულო ღონისძიებების მოსაწყობად საჭირო ხარჯების გასაწევად. დან. N 6

4.4. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს 15/07 N 46 მომართვის მიხედვით დამატებით ესაჭიროება 20 200 ლარი, აქედან 16 400 ლარი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად და 3 800 ლარი საზაფხულო ბანაკისა და კინოქალაქ ,,სინემას“ მოსაწყობად. დან. N 7.

4.5. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 15/07 N 165 მომართვით ითხოვს 10 500 ლარს, მ. შ. 8 000 ლარი სატრანსპორტო ხარჯებისა და 2 500 ლარი ოფისისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად. დან. N 8.

4.6. ა(ა)იპ სათნოების სახლის 15/07 N141 მომართვის შესაბამისად დამატებით საჭიროებს 25 000 ლარის შევსებას, აქედან 8 000 ლარი ჭირდება შრომის ანაზღაურების ხარჯების შევსებას, 15 000 ლარი კვების ხარჯებს და 2 000 ლარი საწვავის ხარჯების შევსებას. დან.N 9.

5. ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2022 წლის 15/07 N 03-682219641 მომართვის თანახმად სოფელ ვახანი-ვახანისწყალის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურეობისათვის დამატებით საჭიროა 3 000 ლარი. დან. N 10 .

საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები, რომელიც აპრილის თვეში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად განისაზღვრებოდა 16 461 338 ლარით იზრდება 2 431 493 ლარით და განისაზღვრება 18 892 831 ლარით. შემოსულობების ზრდის წყარო მთლიანად არის საქ. მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 19 715 249 ლარი იზრდება 2 545 193 ლარით და განისაზღვრება 22 260 442 ლარით. გადასახდელების ზრდის წყარო ასევე არის საქ. მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერები

2 431 493 ლარი და 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 113 700 ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი